საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

24 მარტი, 2015 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36

სხდომის დაწყების დრო 13:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), დავით ლანჩავა, ირაკლი ყანდაშვილი, დავით ასათიანი, გიორგი თევზაძე, ბონდო ალასანია, როინ მიგრიაული, მამუკა ნოზაძე**

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის 1 თებერვლის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ორდერის რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ) „ზ“ პუნქტში დამატების შეტანის შესახებ;

2. ასოციაციაში გაწევრიანება;

3. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, **21²**მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: **ზურაბ ბენიძე, სოფიო მუჯირი, ნიკოლოზ გოგილიძე;**

4. ადვოკატ **მეგი ლიპარტელიანის** განცხადების განხილვა;

5. ადვოკატების **მერცია და ლიკა შარაშენიძეების** განცხადების განხილვა სიითი ნომრების შეცვლის თაობაზე;

6. მამუკა ნოზაძის ინიციატივა: საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის 26 იანვრის დასკვნის გაცნობა მის მიმართ უკანონო პატიმრობასთან და ადვოკატთა ინსტიტუციურ დევნასთან დაკავშირებით;

7. ადვოკატთა ასოციაციის სტრუქტურაში არსებული უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის სახელწოდების შეცვლა და შესაბამისი ცვლილების შეტანა დებულებაში;

8. **იოსებ ჯანაშვილის** განცხადების განხილვა საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლების და ხელახალი გაწევრიანების შესახებ;

9. სხვადასხვა: თავისუფალი სიითი ნომრების გაუქმების თაობაზე.

პირველი საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> 2006 წლის 1 თებერვლის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ორდერის რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ) „ზ“ პუნქტში შევიდეს დამატება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ზ) ორდერის მოქმედების ვადა. თუ ორდერის გამცემი პირი არ მიუთითებს ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას, გაცემული ორდერი არის უვადო“.

მეორე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები გაწევრიანების შესახებ: ანნა კეკენაძე, დავით გოგოლაძე, ზურაბი სვანაძე, ჯემალ მეტრეველი, გიორგი ზარნაძე, ნინო ბერეკაშვილი, დავით ცინცქილაძე, ვახტანგ თავაძე, პაატა დიასამიძე, ვაჟა გურჩიანი, ნინო ნაცვლიშვილი, გენადი მალაყმაძე, ქეთევან ხატიაშვილი, დავით ბერიშვილი, დავით მესხიძე, დავით ქათამაძე, ნინო ზაალიშვილი, მაკა ნადირაშვილი, თამარ ქოქრაშვილი. <u>დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები ქვითრებით:</u> მარინე მაშია, თამარ ვეფხვაძე, თამარ კერძაია, დავით ნიშნიანიძე, ეკა ბარბაქაძე, დავით გოცირიძე, ეთერი კვეზერელი, დავით ბესტავაშვილი, ნინო დეკანოიძე, ნოდარ მესხი, ნინო ჩხეტია, ირაკლი არჩაია, ვეფხვია გრიგალაშვილი.

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას დავით გოგოლაძის, ზურაბ სვანაძის, ჯემალ მეტრეველის, ვეფხვია გრიგალაშვილის განცხადებები გაწევრიანების შესახებ. ამავე კანონის 21^2 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მათ გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეთ წევრობა.

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს რობერტ გრიგალაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და მას წერილობით ეცნობოთ გადაწყვეტილების შესახებ; ასევე, განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს ვალერი გრიგალაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და მას წერილობით ეცნობოთ გადაწყვეტილების შესახებ; ასევე, განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს მამუკა გვარამიას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და მას წერილობით ეცნობოთ გადაწყვეტილების შესახებ; ასევე, განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

<u>გადაწყვეტილება:</u> უარი ეთქვას ნინო ბიბილურს ასოციაციაში გაწევრიანებაზე, ვინაიდან, იგი ვერ აკმაყოფილებს გაწევრიანებისთვის დადგენილ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას. განცხადების ავტორს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ; ასევე, განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

მესამე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21^2მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზურაბ ბენიძის, სოფიო მუჯირის, ნიკოლოზ გოგილიძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ“.

მეოთხე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ მაგული ლიპარტელიანის განცხადება, წერილობითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 10-ე მუხლის მე-3 პუნქტის სამართლებრივ განმარტებასთან დაკავშირებით.

მეხუთე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს ადვოკატების მერცია და ლიკა შარაშენიძეების ერთობლივი განცხადება, მინიჭებული სიითი ნომრების (6667 და 6665) შეცვლის და ახალი ნომრების მინიჭების თაობაზე; ადვოკატის გარდაცვალების ან სხვა შემთხვევების დროს, თავისუფალი სიითი ნომრები გაუქმებულ იქნას.

მეექვსე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> აღნიშნული საკითხზე რეაგირება განახორციელოს და შესაბამისი განცხადება გააკეთოს ასოციაციის თავმჯდომარემ.

მეშვიდე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება"–ში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახური"–ს სახელწოდება შეიცვალოს სახელწოდებით „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამართლებრივი მომსახურების სამსახური" .

2. დებულების მე–2 მუხლის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ. სამართლებრივი მომსახურებით მოსარგებლე პირი (ბენეფიციარი) –

გ.ა.) ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული უფლებების დისკრიმინაციული დარღვევის მსხვერპლს;

გ.ბ) დაინტერესებული მხარე, რომელიც სამსახურს მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის თხოვნით;

გ.გ) სოციალურად დაუცველი პირი, თუ ამ პირის მიმართ უფასო იურიდიული დახმარების გაწევა არ წარმოადგენს სხვა სახელმწიფო სამსახურის კომპეტენციას;

ამ დებულებით დადგენილი ბენეფიციარის კრიტერიუმები შეიძლება შეიცვალოს სამსახურის თავმჯდომარის მიერ, აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმებით".

მერვე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> გაუქმებულ იქნას იოსებ ჯანაშვილის მიმართ არსებული 2014 წლის საწევრო დავალიანება (200 ლარი) და იგი ხელახლა იქნას გაწევრიანებული ასოციაციაში.

მეცხრე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> ადვოკატის გარდაცვალების ან პირადი განცხადებით სიითი ნომრის შეცვლის შემთხვევებში, გათავისუფლებული სიითი ნომერი გაუქმებულ იქნას.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე